განკარგულება:**გ-29. 29242203**
თარიღი:**07/08/2024**

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.292401016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი1. შევიდეს ცვლილება ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29401016 განკარგულების დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 279 500(ორას სამოცდაცხრამეტიათას ხუთასი) ლარი.

მუხლი 2. შევიდეს ცვლილება ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის N 29.29401016 განკარგულების დანართის მესამე მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 3''. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები:
ა) იძულებით გადაადგილებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები;
ბ) ობოლ ბავშვთა ოჯახები (18 წლამდე);
გ) სამ და მეტ შვილიანი ოჯახები (სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000);
დ) იშვიათი და ონკოლოგიურ დაავადების მქონე პირთა ოჯახები;
ე) გადაადგილება შეზღუდული შშმ პირთა ოჯახები;
ვ) ვეტერანთა ოჯახები;
ზ) მარტოხელა პირები.
თ) ოჯახში ძალოდობის მსხვერპლი,(რომელთა შემოსავალი ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ აღემატება 10 000 ლარს);
ი) სოციალურად დაუცველი ოჯახები. (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000);

კ) ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირები;

ლ) დაუნის სინდრომით და აუტიზმით დაავადებული ბენეფიცარები.

მუხლი 2.განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7)

კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი